

გაბრიელ არესტი

ქვა და ერი

(პოეზია)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2011

გაბრიელ არესტი
ქვა და ერი
(პოეზია)

Gabriel Aresti
HARRI eta HERRI
Kopla, bertso, ditxo eta poemak

წიგნის თარგმანი განხორციელდა ბასკეთის ქვეყნის
მთავრობის კულტურის დეპარტამენტის
ხელშეწყობით

Liburu honen itzulpenak Eusko Jaurlaritzako
Kultura Saileko dirulaguntza jaso du

მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი
რედაქტორი: ნატალია ვაჩიეშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: სოფიო კეკელიშვილი

© 2011 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-067-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

გაბრიელ არესტი (მოკლე ბიოგრაფია)	7
მიძღვნა	23

პირველი ნაწილი	25
----------------------	----

A) დამსხვრეული სიტყვები დომ პეილენისათვის	27
B) ადამიანი არის მორჩილი.....	27
C) Souvenir d'Espagne pour Mesdemoiselles Solanje et Helena Gereziaga	28
D) ყვირილი სოროსას ნავსადგომზე.....	29
E) ასეთი იყო ჩემი დასაწყისი.....	30
F) Act-I-18.....	30
G) მიკელ ლასას, წმინდა ფრანცისკოს წინააღმდეგ	30
H) წმინდა ფუეროსში ნათქვამია	30
I) დეპეშა ესპანელ პოეტებს ბასკეთიდან.....	30
J) მას, ვინც ჩემს მოსმენას ისურვებს	31
K) მე და ის, რასაც მე ვამბობ	32
L) ჩემი სახელი	34
M) სამყაროს საზომი	34

მეორე ნაწილი	37
--------------------	----

A) ყოველთვის ვიტყვი სიმართლეს.....	39
B) დავიცავ მაშის სახლს	39
C) ვწერ და.....	40
D) მე ის ვარ, ვინც ამბობს.....	41
E) გავწყვიტოთ ბორკილი.....	41
F) ერთადერთი.....	43
G) მე ორი ქალიშვილი მყავს	43
H) მეორე იყო.....	44
J) ირგვლივ მდებარე საგნებიდან.....	45
K) თუ ვინმე იტყვის.....	45
L) ამქვეყნად ერთი.....	46
M) წყალი სადაც ჩქეფს.....	46


N) სახვევთა შორის.....	46
O) თამაში არ არის შემოსავალი.....	46
P) დაკრძალულია აშულარი.....	47
Q) ბილბაოს სანახევზე.....	47
R) სიყვარულის ყველაზე იაფი.....	47
S) წითელი ჭიხვინით.....	47
T) სინათლე.....	47
U) ერთი შიშველი.....	48
V) იტყვიან, რომ ეს.....	48
W) თუ სიმართლისთვის.....	48
X) ერთ დღეს არავინ.....	49
Y) ერთი რამ იცავს.....	49
Z) ხოსე, ჩემი მეგობარი.....	49

მესამე ნაწილი 51

A) უნდა ვთქვა მარტივი.....	53
B) ცხოვრებაში ყველაფერი იხარჯება.....	53
C) სიბონიდან კუბანაკანამდე.....	53
D) ერთ დღესაც ფული აღარ იქნება.....	54
E) აშულარმა ჩრდილი თვისი.....	54
F) დღეს სან მამესში.....	54
G) თუ ანგარიში მომთხოვეს.....	55
K) მე უკვე მაქვს.....	55
L) ვადგენ ჩემს ბალანსს.....	56
M) გუშინ ვავიცანი.....	56
N) ვიცი, რომ.....	57
O) სუფთა ბასკური ენა.....	57
Q) წინასწარმეტყველს (მსურს ავუხსნა ხორხე ოტეისას).....	58

მეოთხე ნაწილი 75

A) ასტეპელი მდივნის ახალი ლექსები.....	77
B) ასტეპელი მდივნის ძველი ლექსები.....	86
C) ასტეპელი მდივნის თავისუფალი ლექსები.....	92



გაბრიელ არესტი მოკლე ბიოგრაფია

გაბრიელ არესტის ბიოგრაფია (1933-1975) ასახავს ბასკური ლიტერატურის მისწრაფებას მოდერნიზაციისკენ, რომლის ფესვებიც სიმბოლიზმში, ახალი მსოფლიო სოციალური წესრიგისა და ენის სტილის განახლებაში უნდა ვეძიოთ. ამის შედეგად, თანამედროვე ბასკურ პოეზიაში ახალი კომუნიკაციური მოდელები წარმოიშვა.

გაბრიელ არესტი დაიბადა ქ. ბილბაოში 1933 წელს, ბაროეტა აღდამარის ქუჩაზე, მდინარის დელტისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის მახლობლად. მისი მშობლები წვრილბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები იყვნენ და ბილბაოში ბისკაიიდან ჩამოვიდნენ. პოეტის ბიოგრაფები ოჯახის ხელმოკლეობაზე საუბრობენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ პოეტის მამა ერთ-ერთი ფრანკისტული მუნიციპალიტეტის თანამშრომელი იყო. ამგვარად, ოჯახის გამარჯვებული მხარის წარმომადგენელი იყო, მაგრამ მატერიალურად უჭირდათ და სწორედ ამ ორმა გარემოებამ განსაზღვრა პოეტის ბავშვობა.

გაბრიელ არესტი სახლის ახლოს მდებარე სახელმწიფო სკოლებში სწავლობდა, შემდეგ კი ბილბაოს კომერციის სკოლაში ჩაირიცხა და სავაჭრო ექსპერტის დიპლომი მიიღო. ამან საშუალება მისცა, ბუღალტრად დაეწყო მუშაობა და მაღალი შემოსავლის ძიებაში რამდენიმე კომპანიაც კი მიატოვა. კომერციის სკოლაში გ. არესტი სხვადასხვა ენას, მათ შორის ბასკურსაც სწავლობდა. ამავე პერიოდში დაშორდა იმ იდეოლოგიურ სამყაროს, რომელსაც პოეტის მამა ეკუთვნოდა, ე.წ. სოციალურ ფრანკიზმს, რომელიც საზოგადოების ყველა ფენაში იყო გავრცელებული.

როდესაც გაბრიელ არესტის ოცი წელი შეუსრულდა, ბასკურ ენაზე გამოაქვეყნა ლექსები ჟურნალში

„ბასკური სული“ (“Euzko Gogoa”), რომელიც გვატემა-ლაში გამოდიოდა. 1954-1959წწ. დაბეჭდა ცალკეული ლექსები, რომლებშიც ელიოტისა და სარტრის ზეგავლენა იგრძნობოდა. მათში გამოიკვეთება სიმბოლოს მნიშვნელობა და კლასიკური ტექსტების შექმნისადმი მიდრეკილება. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას სონეტურ ფორმას უთმობდა.

იმ პერიოდში გაბრიელ არესტი ცოდნას ორი მიმართულებით იღრმავებდა. ერთი მხრივ, იგი უწინდებურად დაინტერესებული იყო ევროპული კულტურით და შეძლებისდაგვარად ავსებდა პირად ბიბლიოთეკას ცნობილი ესპანელი ავტორების წიგნებით, რომელთაც ბუენოს აირესში მდებარე გამომცემლობა „ლოსადა“ გამოსცემდა. წიგნებს შორის შეგვიძლია ვნახოთ არესტის მიერ ბასკურ ენაზე შესრულებული თარგმანები, რომლებიც დღემდე არ არის გამოქვეყნებული. მეორე მხრივ, იგი ვატაცებით ეცნობოდა ბასკურ ენაზე დაწერილ ლიტერატურას, როგორც კლასიკოსების შემოქმედებას, ისე ხალხური იმპროვიზატორების ლექსებს. სალიტერატურო თვითგანათლების ამ პროცესმა საშუალება მისცა გაბრიელ არესტს, ზიარებოდა იმ კულტურულ კონტექსტს, რომელიც სამი სახის ტრადიციას აერთიანებს: ელიტარულ ლიტერატურას, კლასიკურ ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, რაც უმედგომში დაეხმარა საკუთარი სალიტერატურო პროექტების განხორციელებაში.

გაბრიელ არესტის კომუნიკაციური მიდგომა პოეზიისადმი რთული გასაგები იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მისი თანამედროვე ბასკური ენა პურიზმით ხასიათდებოდა და დაშორებული იყო ყოველდღიურ ნორმებს, რის გამოც ის რთულად გასაგები იყო. სწორედ ამიტომ მიმართა გ. არესტიმ ხალხური იმპროვიზატორების გამოცდილებას, რათა გაემართლებინა პოეტური არჩევანი, რომელიც სასაუბრო ენასთან იყო ახლოს.

„ბისკაიელი“ (“Bizkaitarra”) არის გაბრიელ არესტის პირველი თხზულება, რომელიც 1959-1960 წლებში გამოიცა სამ ნაწილად. ეს არის პოეტის ფრაგმენტული ავტობიოგრაფია, რომელშიც აღწერილია მის მიერ ბასკური ენის შესწავლა, სიყვარული, ნიშნობის გაუქმება, ყოველდღიური ცხოვრების სცენები და საუბრები მეგობრებთან. ხალხური მეტრიკისა და უწყინარი ირონიის გამოყენება კატეგორიული გამონათქვამების, დამრიგებლობითობისა და ნათელი აზრის გამოყენებისადმი მიდრეკილებას ავლენს. „ბისკაიელის“ ციკლის ბოლო ლექსი დაწერილია ყველაზე რთული, ცხრარითმიანი სტროფებით. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გაბრიელ არესტიმ შეგნებულად განახორციელა გარკვეული სალიტერატურო პროექტი, რომლის ჩანასახშიც იკვეთება ის სალიტერატურო პრინციპები და საკვანძო თემები, რომლებიც პოეტმა მოგვიანებით ჩამოაყალიბა.

აღნიშნული სალიტერატურო თამაში, კალმის ვარჯიში, რომელმაც პოეტს თანამედროვეთა შორის დიდი პოპულარობა ვერ მოუტანა, დაეხმარა მას, გამოემუშავებინა საკუთარი პოეტური ხმა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო ყოველდღიური ცხოვრებით ნასაზრდოებ გრძნობებთან. ყოველდღიურობის ავტობიოგრაფიული აღწერა არ გამორიცხავდა კრიტიკულ შეხედულებას ბილბაოში არსებულ პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებაზე. მასში შეეხვდებით მოსაზრებებს რელიგიის შესახებ, რაც არესტისთვის მეტად მწვავე საკითხია და რომელიც ეგზისტენციალიზმის ელემენტებსა და უფლის ხატის წინაშე ამბოხს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ „ბისკაიელში“ მხოლოდ პოეტის ბასკი მეგობრები არიან აღწერილი, რესტორანში „ლა კონკორდია“ გ. არესტი ხვდებოდა ბასკ მწერლებს – მისი დროის ხელოვანთა საუკეთესო ნაწილს: ვიდალ დე ნიკოლასს, ზოსე მარია ბასალდუას, გრეგორიო სან ხუანსა და ანხელ ორტის ალფაუსს. მას ასევე ურთიერ-

თობა ჰქონდა მხატვრებთან – ავგუსტინ იბაროლოსა და დიონისიო ბლანკოსთან. ყველა ჩამოთვლილ ხელოვანს მტკიცე ანტიფრანკისტული პოზიცია ჰქონდა, სოციალისტური იდეოლოგიისკენ მიისწრაფოდა და კომუნისტურ პარტიას გულშემატკივრობდა.

გაბრიელ არეტისთვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბლას დე ოტეროსთან დაახლოება, რომელიც პოეტურ ხელოვნებაში მის ერთგვარ მასწავლებლად იქცა. ცნობილია, რომ კუბიდან დაბრუნების შემდეგ არესტი მასთან ცხოვრობდა და ერთად გაატარეს რამდენიმე საზაფხულო სეზონი ბასკეთის სანაპიროზე.

ამავე დროს, გაბრიელ არესტი, რომელიც იმ დროს ოცდაექვსი წლის იყო, მუშაობდა დიდ პოემაზე – „თავქვე ფერდობზე. მირენისა და იოანეს ამბავის დასასრული“ (*“Maldan Behera. Miren eta Joanaren historiaren bukaera”*), რომლისთვისაც მას 1959 წელს ბასკური ენის აკადემიამ ლორამენდის პრემია გადასცა. პოემა 1960 წელს გამოიცა. მას წინ უძღვის ნიცემესა და ელიოტის ციტატები, ასევე ამონარიდები სახარებიდან და სალინასის შემოქმედებიდან. მასში გაერთიანებულია 2000 ლექსის კორპუსი, რომელიც ორ ნაწილად და 222 სტროფად არის დაყოფილი (ავტორის სურვილი იყო, რომ თითოეული ნაწილი 677 სტროფისგან ყოფილიყო შემდგარი). ზეადამიანის ფიგურა არის გზამკვლევი იმ ნააზრევში, რომელშიც აღწერილია დადმასვლა მთის მწვერვალთან თანამედროვეობის ჯოჯოხეთამდე.

ზეადამიანი, სახელად იოანე, ეშვება მთიდან და მოგზაურობს ბასკური პოეზიის ისტორიის ფურცლებსა (ეპიგრაფები, რომლებიც ამათუიმ ტექსტს უძღვის წინ, ეკუთვნის ცნობილ ბასკ პოეტებს – ლისარდის, ირაჩედერუს, ლორამენდისა და თავად არესტის) და ცივილიზაციის ისტორიაში (გმირი გაივლის ევოლუციის რამდენიმე ეტაპს, როდესაც კვეთს ბილიკს, გზას, ქვაფენილსა და გზატკეცილს). ცივილიზაციის აღნიშნულ, ახალ ეტაპებს იონ ხუარისტი უარყოფით მნიშვ-



გაბრიელ არესტი და ანხელ ორტის ალფაუ ბილბაოს წიგნის მაღაზიაში „წიგნის გალერეა“. ფოტო მოგვარწოდა გაბრიელ არესტის ოჯახმა.